



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 358

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2017 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №735–№743 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ყანჩელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
735	მიწის ნაკვეთი	თაბუკაშვილის ქუჩა, N22-ის დასავლეთით	47.0	03.05.25.535
736	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი, N14-ის აღმოსავლეთით	122.0	03.05.23.513
737	მიწის ნაკვეთი	ზ.ჭავჭავაძის ქუჩა, N2-ის ჩრდილოეთით	42.0	03.01.24.701
738	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი, N66-ის დასავლეთით	33.0	03.06.25.560
739	მიწის ნაკვეთი	ზ.ჭავჭავაძის ქუჩა, N26-ის მიმდებარედ	517.0	03.01.24.547
740	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის ბოლო მონაკვეთი	8547.0	03.05.23.391
741	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი, N11-ის მიმდებარედ	5359.0	03.05.23.462
742	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა, N25-ის მიმდებარედ	137.0	03.01.24.592
743	მიწის ნაკვეთი	ირ.აბაშიძის გამზირი, N21-ის სამხრეთით	75.0	03.01.24.698

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ყანჩელი